



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეჭილაძე

„24“ „10“ 2014 წელი

ფგზ. N2

შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

01.01.2012 წლიდან 01.08.2013 წლამდე პერიოდი

ა/30/00

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს “ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელი ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ასევე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გასცეს დასკვნა კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანიის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რათა მიეღო დასაბუთებული რწმუნება კომპანიის მიერ 01.01.2012–31.07.2013 წლების პერიოდში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან“¹ მიღებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრი 2012 წლის განმავლობაში არ ახორციელებდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ხოლო შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ 2013 წლის 6 სექტემბრის ცნობის² თანახმად, 2013 წლის 13 ივნისს ცენტრის ხელმძღვანელობის ცვლილების დროს, არ მომხდარა საფინანსო, საბუღალტრო, მიმოწერის და საქმიანობის ამსახველი სხვა დოკუმენტაციის გადმობარება.

აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს ცენტრის მთლიანი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის მნიშვნელოვან ნაწილს. ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სხვა აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შეძლო მოეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რათა დაედგინა ცენტრის საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.

უარი დასკვნის გაცემაზე

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლებში აღწერილი შემზღუდველი გარემოებების ყოვლისმომცველობისა და არსებითობის გამო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დასკვნა ცენტრის 01.01.2012–31.07.2013 პერიოდში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოდან“³ გამოვლინდა, რომ შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით⁴, რომელსაც საფუძვლად დაედო სახელმწიფო

¹ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 15 ნოემბრის N5/35699 წერილი.

² შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ 2013 წლის 6 სექტემბრის N14 ცნობა.

³ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 ოქტომბრის N5/32945 წერილი.

⁴ N1-1/1260 31.05.2012

ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი. ცენტრის 100% - იანი წილის მფლობელია სახელმწიფო, მისი კაპიტალი შპს „აუდიტესკორტის“ დასკვნის⁵ საფუძველზე განისაზღვრა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების (ერთი ერთეული საოფისე მაგიდა) საბაზრო ღირებულებით (150 ლარის ოდენობით).

შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ ძირითად საქმიანობას, წესდების მიხედვით, წარმოადგენს ქართული კინოს განვითარების ხელშეწყობა, რაც ზოგადია, არ არის განჭვრეტადი და არ იძლევა მკაფიო განმარტებას, თუ კონკრეტულად რა სახის ხელშეწყობა მოიაზრება დარგის შემდგომი სრულყოფისთვის.

2012 წლის 5 ივნისს სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანებით⁶ ცენტრის კაპიტალში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც საწესდებო კაპიტალი 150 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 12 799 020 ლარის (სს „ქართული ფილმის“ 12 798 870 ლარის ჩვეულებრივი აქციების დამატებით) ოდენობით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

უფროსი აუდიტორი ჯგუფის ხელმძღვანელი:
ელგუჯა ბეროშვილი




უფროსი აუდიტორი:
ლალი სეხნიაშვილი



აუდიტორ ასისტენტი:
ილია ლომაური



აუდიტორ ასისტენტი:
მარინე პრიხოდეკო



⁵ 31.05. 2012წ.

⁶ 2012 წლის 5 ივნისი N1-3/485